აგროტურიზმი – თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ნანი მამფორია
სტუ-ს ასოც. პროფესორი
E-mail: nanimam@mail.ru
ლაშა-გიორგი დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: shisou92@gmail.com

რეზიუმე

აგროტურიზმი ეს არის კომერციული საწარმო სადაც დამსვენებელს შეუძლია თავისი სიამოვნების გამო ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში. შეაგროვოს ხილი, თავისი ხელით მოწყვიტოს სხვადასხვა პროდუქტი, მიიღოს მონაწილეობა სამეურნეო საქმიანობებში. მიირთვას ნატურალური პროდუქტი და დაისვენოს სუფთა ჰაერზე.

აგროტურისტული სერვისი არის სწორედ ის ინოვაცია, რაც აქამდე არატურისტულად მიჩნეულ რეგიონს საჭირო მიმზიდველობას მიანიჭებს. ნებისმიერი სოფელი, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა ზონაშია, შეიძლება გახდეს აგროტურისტული მოძრაობის წევრი, სათანადო ყურადღების მიქცევის შემთხვევაში კი ცენტრიც.

ტურიზმის ეს სახეობა ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში. იგი ძირითადად გათვლილია დიდი ქალაქების მოსახლეობის დასვენების ორგანიზებაზე სოფლის გარემოში. რა თქმა უნდა, ამ დროს არ გამოირიცხება ჩვეულებრივი ტურისტული მომსახურეობებიც – ისტორიული ადგილების, მუზეუმების მონახულება, ზღვაზე ბანაობა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, სტუმრები, ვიზიტორები, კონკურენცია, ტრადიციები, დიასახლისი.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. თითოეულ ზემოაღნიშნულ ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის.

გარკვეულწილად ამ თავისებურებებს ხსნის ტერმინი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნებში აგროტურიზმს აღნიშნავენ. ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით „სოფლის ტურიზმი" (Rural Tourism), გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი „Bauernhoftourismus", რაც სიტყვასიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას ტერმინს – აგროტურიზმს ანიჭებენ, რაც ლათინური წარმომავლობის სიტყვა „აგრო"-დან (agros) და მისგან ნაწარმოები „აგრარული" - agrarius – სასოფლო-სამეურნეო, მომდინარეობს.

აგროტურიზმით დასვენება შედარებით მცირე დანახარჯებს მოითხოვს. ტურისტმა შესაძლოა, იცხოვროს ძველ, გლეხურ სახლში და ოფიციანტების ნაცვლად დიასახლისი გაუმასპინძლდეს. სტუმრები მიირთმევენ ადგილობრივ ნატურალურ პროდუქტებს: ხილ-ბოსტნეულს, შინაურ ყველს, შინ დაყენებულ ღვინოს, ხორცსა და ხორცპროდუქტებს. ისინი აკვირდებიან შინაურ ცხოველებს, სეირნობენ ცხენებით, სწავლობენ ყველის ამოყვანასა თუ თონეში პურის ჩაკვრას. თუ სურთ, ტურისტები ნაციონალური კერძების მომზადებასაც ეუფლებიან.

აგროტურიზმი მისწრებაა იმ მცირე მეურნეებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის გამო კონკურენციას ვერ გაუწევენ არა მხოლოდ უცხოელ, არამედ საქართველოში მომუშავე ფერმერებსაც.

საქართველოში ბოლო წლებში უცხოელი ვიზიტორები, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად, ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, აქ აგროტურიზმიც განვითარდეს.

საქართველოში მრავალი კურორტი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა, დასასვენებელი დასახლებაა, რომლებიც ბუნებრივი პირობების გამორჩეულობით გახდა ცნობილი და მოთხოვნადი – ბაკურიანი, ბახმარო, საირმე, შოვი, ლებარდე, წყალტუბო... ამ ბაზარზე შემოსასვლელად იგივე სერვისების შეთავაზება ნაყოფს დიდი დანახარჯების საფასურად მოიტანს, ხოლო ბუნებრივი გამორჩეულობის არარსებობისას კი

ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

ხშირად აგროტურიზმსა და ეკოტურიზმს ერთმანეთში ურევენ. ეკოტურიზმი ბუნების შესწავლა-დაცვაზეა მიმართული, აგროტურიზმში კი უფრო მოკრძალებული მიზნებია ჩადებული. ძირითადი იდეა აგროტურიზმისა სოფლად დასვენებაა სასოფლო სამუშაოებში მცირედი ჩართვით.

იმის მიუხედავად, რომ აგროტურიზმი ისეთი იაფი აღარ ჯდება, როგორც წინა წლებში, ის მაინც ხდება პოპულარული. აგროტურიზმის განვითარება – მსოფლიო ტრენდად იქცა. ბევრი ქვეყანა აქტიურად უწყობს ხელს ტურიზმის ამ მიმართულებას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტურისტებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებას სთავაზობს, ამავე დროს რეგიონებს განვითარების ალტერნატიულ საშუალებას აძლევს

აგროტურიზმს, განსაკუთრებით კარგ ბუნებრივ პირობებში შეუძლია მათ დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩინოს. თუმცა, მთავარი პრობლემა მათთვის ფერმის მოსაწყობად საჭირო ფინანსების არქონაა. დამოუკიდებლად ამ პრობლემის მოგვარება მათ გაუჭირდებათ. ფერმის კეთილმოწყობის გარდა აუცილებელი იქნება ფერმამდე მისასვლელი საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინტერნეტით უზრუნველყოფა და ა.შ., რაშიც ფერმერებს მთავრობაც უნდა დაეხმაროს.

მასპინძელი ოჯახის მხრიდან სერვისების მიწოდებისა თუ კლიენტის მოთხოვნების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

❖ <u>ოჯახური დასვენება ბავშვებით.</u> როგორც წესი, აგროტურიზმი მცირეწლოვან ბავშვებიან ოჯახებს უფრო აინტერესებთ, რაც დამატებით კრიტერიუმებს ადებს მასპინძელ მხარეს – ბავშვების ფაქტორი მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელია. ასევე, შესაძლებელია მეგობარი ოჯახების ერთობლივი დასვენება. მათი ერთდროულად მიღებისათვის საჭირო იქნება მათთვის ცალ-ცალკე ოთახების ორგანიზება, ან მეზობელ ოჯახებში მასპინძლის მოძებნა. ამიტომაც, სასურველია აგროტურიზმისათვის 2-3 ოჯახიანი სამეზობლო დაჯგუფებების არსებობა.

❖ <u>კულინარიული ვიზიტი</u> – ტურისტს ყოველთვის აინტერესებს ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა. აგროტურიზმის შემთხვევაში სტუმარი მონაწილეობს ეროვნული კერძების არა მარტო დაგემოვნებაში, არამედ მომზადებაშიც. შესაბამისად, მასპინძელს მოეთხოვება ეროვნული კერძების სამზარეულოს მრავალფეროვნება. ერთია, როცა სტუმარს გემრიელი სულუგუნით გაუმასპინძლდები, და მეორე – როცა ამ სულუგუნის ამოყვანა-გადაზელვაში თვითონ სტუმარი იღებს მონაწილეობას! აქვე შეიძლება იქნეს განხილული სასმელების სადეგუსტაციო სტუმრობაც, როცა ტურისტის ინტერესებში სხვადასხვა სახის ღვინოებისა და სხვა სასმელების დაგემოვნება არის გამოხატული. იგივე ლოგიკით – სტუმრის შთაბეჭდილებები გაცილებით უფრო დატვირთული იქნება, თუ ქართულ ჭაჭის ან ხილის არაყს იგი მარტო კი არ დალევს, არამედ როცა ამ არყის გამოხდაშიც მიიღებს მონაწილეობას.

❖ <u>დასვენება რეგიონის აქტიურ გაცნობასთან ერთად</u>. სტუმარმა საოჯახო სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის ნაცვლად შეიძლება აირჩიოს გასვლები ადგილობრივი კულტურისა თუ ბუნების გასაცნობად. შესათანხმებელია მასპინძლის, როგორც მეგზურის მონაწილეობის საკითხი. აგროტურიზმს უფრო ცხენებით გასვლები მოუხდება, ამ დროს კი სტუმარი არაა მარტო მხედარი - იგი ცხენის სავალად მომზადებაშიც მონაწილეობს, ექსკურსიის შემდეგ კი ცხენის დაბინავებაში.

❖ <u>მოხუცთა დასვენების ორგანიზება.</u> ამ დროს წინასწარ დასაზუსტებელია, დამსვენებელს ახლავს მომვლელი თუ არა, ან რამდენად არის შესაძლებელი ასეთი კონტიგენტის დამოუკიდებლად მომსახურეობა მასპინძლის მხრიდან. ამ დროს იგეგმება სასეირნო გასვლები მცირე დისტანციებზე, სამეურნეო საქმიანობაში ამ სტუმრების ჩართვა უფრო დამკვირვებლის ფორმით მოხდება, ვიდრე მონაწილის – მოხუცის ინტერესი ამ დროს სასოფლო ცხოვრების ნოსტალგიით შეიძლება იყოს გამოწვეული. შესათანხმებელია კვების თავისებურებები, გასათვალისწინებელია კლიმატის საკითხიც.

❖ <u>ეთნოგრაფიული აგროტურიზმი</u> –ეროვნულ ან ადგილობრივ ზეიმებში, დღეობებში მონაწილეობის მიღებაა, აგროტურიზმის მიმართულებით კი აქ უნდა ვივარაუდოთ სტუმრის მონაწილეობა შესაბამისი რიტუალების მომზადების პროცესში, და არა მარტო საზეიმო ცერემონიალში. ამ საქმიანობის დროს ადგილობრივი კულტურის ღრმა გაცნობა ხდება.

❖ <u>კონკრეტულ სამუშაო პროცესში მონაწილეობა.</u> იგულისხმება რთველში, ღვინის დამზადების პროცესში, მეფუტკრეობის, მეთევზეობის ან სხვა მეურნეობებში სტუმრობა საქმიანობაში უფრო აქტიური ჩართვით.

აგროტურიზმის კიდევ მრავალი, უფრო ვიწრო მიმართულება შეიძლება იქნას განხილული. რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება ამ მიმა-

რთულებების გადაფარვა და სხვა ტიპის ტურიზმთან შეთანხმება – აგროტურიზმის მოყვარულებს შორის შესაძლებელია იყვნენ კომბინირებული სერვისის მოყვარულებიც – სოფლურ ცხოვრებასთან ერთად მათ ტრადიციული ტურიზმიც შეიძლება აინტერესებდეთ – გასვლები მთაში, ისტორიული ადგილების მონახულება. მარშრუტები, რომელიც ტურისტს გონივრულად მიეწოდება – მასპინძლის კონკურენტუნარიანობას აამაღლებს. სასურველია მარშრუტები იყოს სხვადასხვა სოფელში, ამით ტურისტი სხვადასხვა შთაბეჭდილებებით დაიტვირთება.

ამ ბიზნესის (ჩვენს შემთხვევაში აგროტურიზმის) დასაწყის ეტაპზე აქტიურად იქნება ჩართული ტურბიურო. კლიენტ-მასპინძელს შორის ამ ბიზნესის, მონაცემთა ბაზის შექმნისა და დახვეწის შემდეგ შუამავლის აუცილებლობა შემცირდება, კლიენტი პირდაპირ, ინტერნეტის საშუალებით მოძებნის და დაუკავშირდება სასურველ მასპინძელს. იგულისხმება, რომ მასპინძელი მხარე აქტიურად იქნება ჩართული ინტერნეტ-სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს შუალედურ რგოლად ტურბიუროს გამოყენება, რაც მათ შემოსავალს შეამცირებს. ტურისტულ საქმიანობაში მიმღები ოჯახის სერიოზული ჩართვის დროს სასურველია შეიქმნას ამ ოჯახის, ან ახლომახლო წარმოქმნილი რამდენიმე ოჯახიანი დაჯგუფების სარეკლამო ბუკლეტი. ეს კლიენტს გაუადვილებს გადაწყვეტილების მიღებას, როცა მას ექნება ინფორმაცია მოსალოდნელი სერვისების შესახებ.

როცა ოჯახი გადაწყვეტს ამ ბიზნესს მოკიდოს ხელი მასპინძელს უნდა ჰქონდეს მომზადებული თავისი შესაძლებლობების შესაბამისი მენიუ, შესაბამისი ფასების მითითებით, რაც ანგარიშსწორებას გაამარტივებს. მენიუში სასურველია იყოს კერძების შემადგენლობის ჩამონათვალი – უცხოელი კლიენტები ამ საკითხს აქცევენ ყურადღებას. ასევე, ამ დროს გამოირიცხება რელიგიური, დიეტური ან სხვა რიტუალური შეზღუდვები და მოსალოდნელი გაუგებრობები. სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობისას მასპინძელს უნდა ახსოვდეს, რომ სტუმარი არაა დაქირავებული მუშა. სტუმრის მონაწილეობა სამეურნეო საქმიანობაში უფრო გართობა-გაცნობის ხასიათისაა, ამიტომ მისთვის უნდა შეირჩეს არაშრომატევადი, უსაფრთხო და ნაკლებად საპასუხისმგებლო სამუშაოები, დროის მოკლე პერიოდებით და სასურველია საქმიანობათა მრავალფეროვნება: ვენახის მოვლაში მონაწილეობა, რთველი, სიმინდის ტეხვა, ხილის კრეფა, ღვინის დაწურვა, არყის გამოხდა, ფუტკრების მოვლა, თაფლის ამოღება, ძროხისა და თხის მოწველა, მიხმარება საქონლის საძოვარზე გასადენად, რომელიმე ეროვნული კერძის მომზადებაში სტუმრის მონაწილეობა (ღომი, მჭადი, ხაჭაპური, ხინკალი, ჩურჩხელა..)

მანამ, სანამ აგროტურიზმი საფუძვლიანად მოიკიდებს ფეხს საქართველოს ტურისტული მომსახურეობის სისტემაში აუცილებელია გვახსოვდეს აგროტურიზმი არ ავურიოთ სოფლად დასვენების პროცესთან. პირველ რიგში მათ განასხვავებს მასპიძლის ჩართულობა სტუმრის დასვენების პროცესში. სასტუმროში სოფლად – მასპინძელი, ანუ სასტუმროს მუშაკი აფორმებს სასტუმროს ნომერში სტუმარს და ამით ამოიწურება მისი ურთიერთობა ჩამოსულთან (ტურისტული კლასტერის არსებობისას მასპინძელი სტუმარს აცნობს შესაძლო გასართობების ჩამონათვალს და შემდეგ ტურისტი თავად მიხედავს თავს). აგროტურიზმის დროს მასპინძლის ურთიერთობა ტურისტთან დიდ მნიშვნელობას იძენს. განსაკუთრებით ეს სამეურნეო-სამზარეულო საქმიანობის დროს მჟღავნდება, აგროტურისტი დამატებით ფულს იხდის ამ მომსახურეობისათვის.

აგროტურიზმის განვითარების მიზნით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ტრეინინგები მოაწყო. ტრეინინგების თემატიკა „აგროტურიზმის ობიექტების ოპერირება და მომსახურების უნარჩვევები" იყო. ტრენინგებში მონაწილეობა აგროტურიზმის ოცმა ობიექტმა მიიღო. კურსის დასრულების შემდეგ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 30 მონაწილეს სერტიფიკატი გადასცა.

საქართველოში მოქმედი საოჯახო ორგანული მეურნეობები:

- ღლონტების მრავალფეროვანი ორგანული მეურნეობა ქ. ოზურგეთიდან 8 კმ-ზე მდებარეობს. აქ ჩამოსული სტუმარი გაეცნობა კივის, ფეიჰოას, თხილისა და სიმინდის პლანტაციებს, საჩითილე მეურნეობას. დაათვალიერებს ვენახს, ვაშლის, წაბლის, ლეღვის, ხურმისა და ჟოლოს ბაღებს. დააგემოვნებს წაბლისა და აკაციის თაფლს.
- თენეიშვილების მეურნეობა, რომელიც ქ. ოზურგეთიდან 9 კმ-ზე მდებარეობს, ძალიან საინტერესო და მრავალმხრივია. თენეიშვილების მეურნეობაში სტუმრებს შეუძლიათ გაეცნონ თევზების ბუნებრივ კვებას, ბიოგაზის მიღების მოწყობილობას, წყლის წისქვილის მუშაობასა და ჩაის მიკროქარხანას, ასევე დააკვირდნენ ფუტკრებს და დააგემოვნონ თაფლი.
- შარვაძეების მარნები საჩხერიდან 5 კმ-

ზე მდებარეობს. ეს საგვარეულო მარნები უნიკალურია თავისი განლაგებითა და არქიტექტურით. აქ თავმოყრილია მევენახეობა-მეღვინეობისათვის საჭირო ყველა ტრადიციული ინვენტარი და ჭურჭელი, ეზოში გაშლილი მარნები ერთგვარი მუზეუმია ღია ცის ქვეშ. აქ შესაძლებელია განსაკუთრებული გემოთი გამორჩეული იმერული ღვინის დაჭაშნიკება.

➢ „ტყუპების საღვინე სახლი" გელა და გია გამტკიცულაშვილების მარანი, მცირე სასტუმრო და აგროტურისტული ცენტრი ნაფარეულში კარგად ნაცნობია ამ ტურით დაინტერესებულთათვის. ტყუპი ძმები საკუთარ ვენახებში მოკრეფილი ყურძნით ღვინოს ქვევრში, უძველესი ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით აყენებენ. სოფელში აგროტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად უცხოელ და ქართველ ტურისტებს ადგილზე ეპატიჟებიან, რომლებსაც საშუალება აქვთ ადგილზე გაეცნონ ყურძნის კრეფის, ღვინის დაყენებისა და ძველი ქართული ტრადიციული კერძების მომზადების პროცესებს. ტყუპების განცხადებით, საღვინე სახლი მომხმარებელს სთავაზობს ღვინის ტურს მთელი წლის განმავლობაში, რომელიც მოიცავს ძველი მარნის და ახალი წარმოების დათვალიერებას, მე-18 საუკუნის საწნახელში ყურძნის დაწურვის პროცესს, ჭაჭის გამოხდას, თონეში პურის გამოცხობას, ჩურჩხელის ამოვლებას, იქ არსებული ქვევრისა და ღვინის მუზეუმის დათვალიერებას. მათ მიერ წარმოებული რამდენიმე სახეობის კახური ღვინო „ქვევრის მზე" გარდა ადგილობრივი ბაზრისა, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინასა და იაპონიაშიც იყიდება.

საქართველოში შექმნილია შესაბამისი პირობები აგროტურიზმის განვითარებისათვის. აგროტურიზმის განვითარება საქართველოში, სხვა, ბევრი თანმდევი ამოცანის გადაწყვეტას გამოიწვევს. ამან საბოლოოდ უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და სამსახური, რომლის რეალიზაციაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს და აამაღლებს მის როლსა და ფუნქციას მსოფლიო თანამეგობრობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე ა. ვადაჭკორია მ. ოქროცვარიძე ლ. „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი", სახელმძღვანელო, თბილისი 2011
2. http://agroturzmi.blogspot.com/
3. www. researchgate.net
4. http://www. ecotourism.org

AGROTOURISM IN THE CONDITIONS OF MODERN MARKET ECONOMY

NANI MAMPORIA - Associate Professor of GTU
E-mail: nanimam@mail.ru
LASHA-GIORGI DATASHVILI – PhD of GTU
E-mail: shisou92@gmail.com

Summary

Agrotourism is a commercial enterprise where the holidaymaker is able to engage in various activities due to its enjoyment. Collect fruits, cut off their own hands by taking various products, participate in agricultural activities. Eat natural products and rest on fresh air.

Agrotourism service is an innovation that will provide the attractiveness of the region that has previously been regarded as unsorted. Any village that is in an ecologically clean zone may become a member of the agrarian movement.

This type of tourism has spread widely in recent years. It is mainly designed to organize the disaster of large cities in rural environments. Of course, there are no casual tourist services, such as visiting historical sites, museums, swimming in the sea, and so on. Sh.

keywords: Agroturism, Guests, Visitors, Competition, Traditions, Housewife.